









ქ.თბილისი, მელიქიშვილის ქუჩა №5-ში განთავსებული ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

დამკვეთი:
შ.პ.ს. "PP",
დირექტორი ლაურა ღაჭავა

შემსრულებელი:
არქიტექტორი ალა პროზოროვა

თბილისი
04. 2013

ქ.თბილისი, მელიქიშვილის ქუჩა №5-ში განთავსებული ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა



საკვლევი ობიექტი - **მელიქიშვილის ქუჩა №5** - მდებარეობს **ძველი თბილისის ადმინისტრაციულ რაიონში, ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის განაშენიანების რეგულირების ზონის საზღვრებში** *(ზონა 01, სექტორი 15, კვარტალი 03, ნაკვეთები 018/018, მესაკუთრე - შ.პ.ს. "PP", ნაკვეთის ფართობი - 1587 მ²).* წარმოდგენილი კვლევა შესრულდა საკვლევი ობიექტის (და მთელი ტერიტორიის) შემდგომი რეკონსტრუქციის პროექტირებისათვის ახალი ფუნქციის აღჭურვიდან გამომდინარე.

საკვლევი ობიექტი წარმოადგენს ტერიტორიას, სადაც განლაგებულია ძირითადი კორპუსი თავისი ფლიგელით და მინაშენებებით შიდა ეზოში, მჭიდროდ განაშენიანებულ კვარტალში, კ.ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინის მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის და დიდი საკონცერტო დარბაზის (ფილარმონიის) შორი-ახლოს, **ამ უბნის ერთ-ერთ ყველაზე უძველეს განაშენიანების კვარტალში.** კვარტალი სამკუთხა ფორმისაა, რომელიც შემოსაზღვრულია **პეტრე მელიქიშვილის, მერაბ კოსტავას და შალვა ღამბაშიძის ქუჩებით.** საკვლევ ტერიტორიზე არსებულ შენობა-ნაგებობებში განლაგებული იყო ი.ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, სტაციონალურ-პოლიკლინიკური სამსახური, საქართველოს ბავშვთა

ალერგოლოგთა და კლინიკურ იმუნოლოგთა ასოციაცია და ჟურნალ "საქართველოს პედიატრის" რედაქცია.

თბილისის რუკა 1844 წ. თავშესაფარი ("Богодельня") თბილისის რუკა 1867 წ.



საკვლევი ტერიტორია

"გზა წყნეთისკენ"
(1967 წ.წყნეთის ქუჩა,
1924 წ. მელიქიშვილის ქუჩა)

"გზა რუსეთისკენ
(1867 წ. - ოლღას,
1924 წ. -ლენინის,
1991 წ. - კოსტავას ქუჩა)

ლურჯი მონასტერი

თბილისის ისტორიულ რუკებზე მკაფიოდ იკითხება საკვლევი ნაკვეთის ფორმირების ტენდენცია. **XIX** საუკუნიდან იზრდება მთაწმინდის ფერდობის განაშენიანების სიმჭიდროვე, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ქალაქის საზღვარი მიიწევს ე.წ. "მოსკოვის საგუშაგოს" მიმართულებით (დღევანდელი "ვარდების მოედანი"). "მოსკოვის საგუშაგო" და მიმდებარე ტერიტორია გაშენებული იყო გადამდგარი ჯარისკაცების კუთვნილი პატარა ხის სახლებით.

წყნეთის გზის დასაწყისში (შემდგომში წყნეთის გზა, 1924 წლიდან მელიქიშვილის ქუჩა), მის მარცხენა მხარეს, დღევანდელი ბელინსკის ქუჩამდე (მისი ძველი სახელწოდება იყო "აგურის ქუჩა") ქაოტურად შენდებოდა აგურის ქარხნები/ ეს საწარმოები აქ გაჩნდნენ მას შემდეგ, რაც ერმოლოვის ბრძანებით **1821** წელს გერეთუბანში ლიკვიდირებული იქნა აგურის წარმოება (ალექსანდროვის ბაღის ტერიტორიაზე). **1844** წლის თბილისის რუკაზე რუსეთისაკენ მიმავალი გზასა და (1867 წლიდან - ოლღას ქუჩა, 1824 წლიდან - ლენინის და 1991 წლიდან - კოსტავას ქუჩა) და წყნეთის გზას შორის არ ჩანს არავითარი განაშენიანება. მხოლოდ ამ ორი გზის შეერთების ადგილზე აღნიშნულია სამი შენობა, რომლიდანაც ერთი **1867** წლის რუკაზე აღნიშნულია როგორც "მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარი" ("Богодельня). გოლოვინის (ამჟამად - რუსთაველის) გამზირის ღერძი გაგრძელდა ახალი ოლღას ქუჩის გასწვრივ ვერის ბაღებამდე (ამჟამად - გმირთა მოედანი) და დაუკავშირდა საქართველოს სამხედრო გზას. ამ ღერძის შუა ნაწილში გაჩნდა განშტოება – წყნეთის ქუჩა, რომლის ორივე მხარეს წარმოიშვა ვერის და ვარდისუბნის დასახლებები.



თბილისის რუკა 1898 წ.



თბილისის რუკა 1902 წ.

"ამიერკავკასიის მეანობის ინსტიტუტი, სამშობიარო ჰოსპიტალი და მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარი

"ცხენოსანი ჟანდარმერიის გუნდი"

ვერის ხიდის (დღევანდელი გალაქტიონის ხიდი) აგების შემდეგ **1883** წელს მოხდა უბნის ინტენსიური განაშენიანება, გაძვირდა კერძო მესაკუთრეების ხელში არსებული ნაკვეთების ღირებულება. განაშენიანება თანდა-თან განლაგდა ზოლებად ფერდობის გასწვრივ. **1898** წლის რუკაზე ქალაქი დაყოფილია 10 ადმინისტრაციულ ნაწილად, რომლიდანაც I ადმინისტრაციული ნაწილი წარმოადგენდა "ვერის" უბანს, სადაც შედიოდა ვერე, ვარდისუბანი, "ახალი ჰოლანდია" და "მოსკოვის საგუშაგო". აქ უყვე ჩანს სამკუთხა კვარტლის ჩამოყალიბებული მოხაზულობა, რომელშიც იმყოფება ჩვენი საკვლევი ობიექტი - წარმოქმნილი წყნეთის, ოლღას და წილკნის (დღევანდელი შ. ღამბაშიძის) ქუჩებით. ამ კვარტალში "მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარის" გვერძე ერთიან კომპლექსში ნაჩვენებია "ამიერკავკასიის ოლღას სახელობის მეანობის ინსტიტუტის და სამშობიარო ჰოსპიტალის" რამდენიმე შენობა. საინტერესოა, რომ 1907 წლიდან-**1924** წლამდე რუკებზე ერთ-ერთი შენობა ამ ინსტიტუტისა წყნეთის ქუჩის წითელ ხაზის გასწვრივ აღნიშნულია ზუსტად ჩვენი საკვლევი შენობის ადგილზე (ამასთან იმეორებს მისი ძირითადი მოცულობის კონფიგურაციას, რაც ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ **ჩვენი საკვლევი ობიექტის ძირითადი მოცულობა აშენებულია 1902 წლიდან-1907 წლამდე.**

თბილისის რუკა 1907 წ.

საკვლევი ობიექტი





თბილისის რუკა 1924 წ.



კოსტავას ქუჩა №40



კოსტავას ქუჩა №38

უნდა აღინიშნოს, რომ მელიქიშვილის და ოლღას ქუჩებზე გადიოდა ტრამვაის ხაზი.

XIX საუკუნის ბილოს და XX საუკუნის დასაწყისში ოლღას ქუჩაზე შენდება ორი და სამსართულიანი სახლები, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს ყოფილი სამხარეო სასამართლოს შენობა, აშენებული 1860-იან წლებში, კლასიციზმის მოტივების გამო ყენებით *(კოსტავას ქუჩა №40, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საღრიცხვო ბარათი № 010105369)* და სამეანო ინსტიტუტი (Институт Акушерства), აშენებული XX საუკუნის დასაწყისში "არტ-ნუვოს" სტილში *(კოსტავას ქუჩა №38, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საღრიცხვო ბარათი № 010105386).* 2006 წელს ჩატარებული იქნა შენობის სრული რეკონსტრუქცია და ფასადების რესტავრაცია. ამჟამად ამ შენობაში ფუნქციონირებს კ.ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

რიგი შენობებიდან, რომლებიც შედიან ქალაქ თბილისი არქიტექტურული ძეგლების ნუსხაში და რომლებიც აშენებულია XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, ამასთან იმყოფებიან ჩვენი საკვლევი შენობის უშუალო სიახლოვეს - არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ორი საცხოვრებელი შენობა მელიქიშვილის ქუჩა №7 და №9.



2-სართულიანი საცხოვრებელი სახლი **№7,** *(კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის / ძეგლის საღრიცხვო ბარათი №010105400),* ეკვრის ჩვენი საკვლევი შენობის ყრუ გვერდითა აგურის ფასადს. მისი საპარადო ფასადი შესრულებულია გვიანდელი ფსევდო-რენენსანსის სტილში, რამდენადმე შეწეულია კვარტლის შიგნით და ქმნის კურდონერს, რომელიც მელიქიშვილის ქუჩის წითელი ხაზიდან თავის დროზე გამოყოფილი იყო ჭედური ღობით დაბალ ქვის ცოკოლზე და ოთხკუთხა ქვის კოლონებით (დარჩენილია ფრაგმენტები). შენობას გააჩნია პატარა შიდა ეზო და ფლიგელი. მზიდი კედლები შესრულებულია აგურით, საპარადო ფასადის მხარე

გალესილია და შეღებილია. მეორე სართულზე მოწყობილია ორი ღია კონსოლური აივანი ჭედური მოაჯირებით. ღიობები 4-კუთხაა ხის კარ-ფანჯრების შემავსებლებით. აივანზე და აივნის ქვევით კარებები განიერი და 4-ფრთიანია. სახურავი 3-ქანობიანია, გადახურულია მოთუთუებული თუნუქით. ამ შენობის მეორე გვერდითა ფასადი ასევე მჭიდროდ ეკვრის მელიქიშვილის ქუჩა №9/ღამბაშიძე №2 შენობას.



ეს არის კუთხის 3-სართულიანი საცხოვრებელი სახლი მელიქიშვილის ქუჩიდან, რომელიც ღამბაშიძის ქუჩის მხარეს წარმოადგენს 3,5 - 4-სართულიან სახლს მოჭრილი კუთხით. საპარადო ფასადი შესრულებულია ფსევდო-რომანული სტილით ღრმა რუსტით ყველა სართულზე. გააჩნია სწორკუთხა ღიობებიანი კარ-ფანჯრები. საპარადო ფასადები დამშვენებულია ფანჯრებსქვეშა პანელებით, ფანჯრისზედა კარნიზებით მაღალ კრონშტეინებზე და ფოთლოვანი ორნამენტებით მათ შორის. მთავრდება ფასადი მაღალი გამოწეული პარაპეტის კარნიზით. შენობას გააჩნია განიერი ღია კონსოლური აივნები 2- და 3-სართულებზე ჭედური რკალური მოაჯირებით. ნაგებობის შიგნით არის პატარა შიდა ეზო ხის აივნებით მთელ პერიმეტრზე. სახურავი 2-ქანობიანია გადახურულია მოთუთუებული თუნუქით.

მელიქიშვილის ქუჩის გაფართოება





1930-იანი წლები

მელიქიშვილის ქუჩა

"ცხენოსანი ჟანდარმერიის გუნდის" ყოფილი შენობა

1948 წელი

1950-იანი წლები

საკვლევი ობიექტი

1950-იანი წლები





ლენინის და მელიქიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე 1928 წელს აშენებული იყო საცხოვრებელი სახლი (არქიტექტორი ვ.იაკუბოვიჩი) შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურული მოტივების გამოყენებით. მის წინ კი - ცნობილი საათი, (როდესაც თბილისელები საათთან იკრიბებოდნენ, ყველამ იცოდა, რომ იქ უნდა მისულიყო, აღარ კონკრეტდებოდა, რომელ საათთან).



XX საუკუნის შუა წლებამდე პეტრე მელიქიშილის ქუჩა, რომელიც ილია ჭავჭავაძის პროსპექტს ცენტრთან აკავშირებდა, იყო შედარებით ვიწრო ქუჩა. 1948-49 წლებში სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად ეს ქუჩა საფუძლიანად გაფართოვდა - ქუჩის მარცხენა მხარეს აიღეს ერთი- და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რამაც მისი სიგანე თითქმის 35-მეტრამდე გაზარდა.ამ დროს ლენინის ქუჩიდან აიღეს ტრამვაის ხაზი, იმ დროს, როდესაც მელიქიშვილის ქუჩაზე ტრამვაი დადიოდა 1960-იანი წლების ბოლომდე. აქ უნდა აღინიშნოს, რომ თუ მელიქიშვილის ქუჩაზე ჩვენი საკვლევი შენობის მხარეს ჯერ კიდევ შემორჩენილია ორი- და სამსართულიანი შენობები - ეკლექტიკური განაშენიანება XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში აშენებული - მის მოპირდაპირე მხარეს სწორედ ამ პერიოდში შენდება იმ დროისათვის ტიპიური შედარებით დიდი ზომის პომპეზური შენობები ე.წ. "სოციალისტური ამპირის" (ან "სოცრეალიზმის") სტილში. ასეთ მაგალითად შეიძლება გამოდგეს შენობები მელიქიშვილის ქუჩა №12 - 5-სართულიანი სასტუმრო "საქართველო" (თავდაპირველად შენობა გათვალისწინებული იყო სოფლის მეურნეობის ტექნიკური კულტურების სამინისტროს განსათავსებლად, აშენებული 1949-59 წწ, არქიტექტორები - გ.თავდგირიძე, ნ.ფირცხალაიშვილი) და მელიქიშვილის ქუჩა. №16/1 და №18/2 - 4-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელსაც უკავია მტელი კვარტლის ქუჩისპირა ნაწილი. იმ პერიოდში იქნა ჩატარებული ჩვენი საკვლევი შენობის მელიქიშვილის ქუჩა №5-ის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც საძირკვლების გაძლიერების შემდეგ 2-სართულიან აგურის შენობაზე დაშენებული იქნა მესამე სართული, ხოლო ეზოს მხრიდან მას შეუერთდა ვიწრო ფლიგელი და, რაც მთავარია, მელიქიშვილის ქუჩის მხრიდან პარადყლი ფასადი და გვერდითი ფასადი გალესილი და შეღებილი იქნა "სოცრეალიზმის" სტილში ისევე, როგორც

მის წინ ქუჩის გადაღმა აშენებული სახლები. რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ 1959 წელს ჩვენ საკვლევ შენობაში ყოფილ "მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარში", რომელიც გამოდიოდა მელიქიშვილის ქუჩაზე, იწყებს მუშაობას პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.



1969 წელს მელიქიშვილის და ლენინის ქუჩების გადაკვეთაში აიღეს 1928 წელს აშენებული საცხოვრებელი სახლი და მის ადგილზე თითქმის ჩვენ საკვლევ ტერიტორიამდე აშენებული იქნა ფილარმონიის დიდი საკონცერთო დარბაზი (არქიტექტორი ი.ჩხენკელი, კონსტრუქტორი შ.გაბაშვილი). ფილარმონიის ძირითადი მოცულობა წარმოადგენს როტონდას, რომელსაც უკანა მხრიდან მიდგმული აქვს კუბის ფორმის კორპუსი. შენობის ძირითად მოტივს წარმოადგენს როტონდის მთლიანად შემინული სახე. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი დამუშავდა 1960-იანი წლების დასაწყისში, როცა მინა და ალუმინი გარკვეულწილად მიჩნეული იყო "თანამედროვე არქიტექტურის" მთავარ ატრიბუტად. მელიქიშვილის ქუჩიდან ყურადღებას იპყრობს ღია კიბე, რომლის მარშები აწყობილია მძლავრ შუა პილონზე. იმავე პერიოდში შემინული მოცულობის წინ დადგმული იქნა ბრინჯაოს მონუმენტალური ქანდაკება - "მუზა" (მოქანდაკე მ.ბერძენიშვილი), ხოლო 2006 წელს მოწყობილი იქნა მუსიკალური შადრევანი (არქიტექტორი გ.გუგუნავა).



ჩვენი საკვლევი ტერიტორია გეგმარებით წარმოადგენს არასწორ ტრაპეციას, რომელიც შემოსაზღვრულია მელიქიშვილის ქუჩის წითელი ხაზით, კვარტლის ქვედა ტერასაზე მყოფი კ.ჩაჩავას სახელობის კლინიკის ყრუ გვერდითა კედლით, №7 საცხოვრებელი სახლის შიდა ეზოთი და ფილარმონიის პატარა სკვერით. ვიდრე ვისაუბრებთ 1959 წელს ქუჩის მხრიდან ფასადების რეკონსტრუქციაზე სავალდებულოა ითქვას ჩვენი საკვლევი შენობის საერთო სტრუქტურაზე. პედიატრიის ინსტიტუტის შენობა რუსული "Г"-ს კონფიგურაციის გეგმარებისაა. ძირითადი 3-სართულიანი კორპუსი სარდაფით განლაგებულია ქუჩის წითელ ხაზზე, რომელზეც №7



სახლის მხრიდან მახვილი კუთხით მიშენებულია 4-სართულიანი ფლიგელი. ქუჩის ტროტუარსა და შიდა ეზოს სიმაღლის ნიშნულთა სხვაობის გამო ძირითადი 3-სართულიანი კორპუსის სიმაღლე და 4-სართულიანი ფლიგელის სიმაღლე თითქმის თანატოლია. შესაბამისად გააჩნიათ ხის სახურავის ერთიანი კონსტრუქცია, რომელიც დაფარულია შეღებილი თუნუქით. ფილარმონიის შენობის აშენების დროს 1928 წელს აშენებული კუთხის სახლის აღებასთან ერთად აღებული იქნა ყველა სხვა ნაგებობებიც მელიქიშვილის ქუჩაზე, ჩვენი საკვლევი ობიექტის მხარეს №5 სახლის ეზომდე (მათ შორის გრძელი 1-სართულიანი - ყოფილი ცხენოსანი ჟანდარმერიის გუნდის - შენობა, რომელიც აშენებული იყო 1898 წლამდე). ძირითადი შენობის ეზოს ფასადზე ფლიგელის მხარეს თავდაპირველად მოწყობილი იყო ხის შუშაბანდის სექცია, რომელსაც ორივე მხრიდან ქონდა დამატებული კიდევ ორი ნაკლები სიგანის სექცია. ძირითად მოცულობასა და ფლიგელს შორის მოწყობილია კიბის უჯრედის მოცულობა, რომელიც რამდენადმე შეწეულია შიგნით ფლიგელის ეზოს ფასადის სიბრტყესთან შედარებით. ფლიგელის მეოთხე სართულზე მისი სიგრძის ნახევარზე მოწყობილია რკინა-






ბეტონის კონსოლური შემინული აივანი. ფლიგელზე ტერასის გაყოლებით მიშენებულია სამეურნეო დანიშნულების პატარა 1-სართულიანი მოცულობა. ძირითადი მოცულობის და შიდა ფასადების კედლის წყობიდან, ასევე კიბის უჯრედის და შუშაბანდის კონსტრუქციებიდან გამომდინარე შეიძლება მსჯელობა, რომ თავდაპირველად საკვლევი მოცულობა წარმოადგენდა მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ამჟამად არის ძირითადი კორპუსი. ფლიგელი და კიბის უჯრედი გაჩნდნენ მოგვიანებით. 1959 წლის რეკონსტრუქციის დროს ჩვენი საკვლევი ობიექტის არქიტექტურული სტილი ორ საპარადო ფასადზე - ერთი გამომავალი მელიქიშვილის ქუჩაზე, მეორე გვერდითა ფილარმონიისაკენ მიმართული - მთლიანად იქნა შეცვლილი. ეს 2-სართულიანი ფასადები თავდაპირველად შესრულებული იყო სუფთა აგურის წყობით, რომელსაც გააჩნდა იმავე აგურით შესრულებული საფეხუროვანი დეკორი, რასაც ადასტურებს ძირითადი კორპუსის ეზოს ფასადის მე-2-სართულის შეულესავად დერჩენილი კედელი; სეგმენტური ზღუდარები ფანჯრის ღიობებზე; ფანჯრის ქვედა კარნიზი-სავარცხელი; ვერტიკალური გეომეტრიული ორნამენტი ღიობებს შორის კედელზე და მაღალი პარაპეტის კარნიზი. რეკონსტრუქციის შემდეგ დაშენდა მე-3-სართული და ფასადები შელესილი და შეღებილი იქნა. პირველი სართული შესრულებულია მაღალი ჰორიზონტალური რუსტით (ქვის წყობის იმიტაციით), რომელიც მთავრდება სართულშუა და ფანჯრის ქვედა ჰორიზონტალური ორმაგი ზოლური-კარნიზით. პირველი სართული ქუჩის მხრიდან დაბალია (ფანჯრის რაფა იწყება 30-40 სმ სიმაღლეზე ტროტუარის დონიდან), ცენტრში განლაგებულია კიბის უჯრედში სადარბაზო კარი-შესასვლელი. მესამე სართულის დაშენების შემდეგ







ფანჯრებს შუა კედლის სიბრტყეში გაკეთდა ბრტყელი 4-კუთხა პილასტრები, რომლებიც ადიან მე-2 სართულის ფანჯრის ქვედა კარნიზიდან და მთავრდება დაბალი დორიული კაპიტელით მაღალი გამოწეული პარაპეტის ზოლური-კარნიზის ქვეშ. სახურავის ყრუ პარაპეტი შემკულია ბრტყელი სწორკუთხა პანელებით. ტუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საპარადო ფასადის სიბრტყე ვიზუალურად გაყოფილია 2 ნაწილად - გამომდინარე მე-2 სართულის ღიობების ზღუდარების, სხვადასხვა კონფიგრაციიდან და ამ ღიობების თავზე სადად გამოკვეთილი დეკორისა. მე-2 სართულის ცენტრალურ ნაწილში მოწყობილია განიერი (სამ ღიობზე) კონსოლური რკინა-ბეტონის აივანი, მრგვალი მასიური ჩამოსხმული რიკულებით. კიბის უჯრედის მარცხნივ ფასადი რამდენედმე გრძელია (10 ფანჯარა ნახევრადწრიული ზღუდარებით) მარჯვენაზე. მარცხენა ნაწილის დასაწყისში და ბოლოში მოწყობილია პატარა (10 სმ) გამოწეული რიზოლიტი. კიბის უჯრედიდან მარჯვნივ მოწყობილია 8 ფანჯარა სწორკუთხა ზღუდარებით. აქ რიზოლიტები მოწყობილი არ არის. მარცხნივ ფანჯრებზე სართულშუა სივრცეში განლაგებულია მრგვალი როზეტები ფოთლოვანი ორნამენტებით. მარჯვნივ ფანჯრებს ზევით მოწყობილია დეკორატიული ტრაპეციის ფორმის ე.წ. "ჩამკეტი ქვები". ეს სუსტად აღსაქმელი ფასადის განსხვავება შეიძლება ნიშნავდეს რეკონსტრუქციის დროს ორი სხვადასხვა შენობის გაერთიანებაზე ერთ მოცულობად, თუმცა ეზოს ფასადზე განსხვავება სიგრძლივი მიმართულებით არ ჩანს. ეს ხელოვნური განსხვავება შეიძლება გამართლებული იყოს ასევე მარჯვენა და მარცხენა ფრთის განსასაზღვრავად სხვადასხვა ფუნქციით მათი გამოყენებიდან გამომდინარე (ამ შენობაში ი.ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან ერთად განლაგებული იყო ასევე სტაციანურ-პოლიკლინიკური სამსახური, საქართველოს ბავშვთა ალერგოლოგთა და კლინიკურ იმუნოლოგთა ასოციაცია და ჟურნალ "საქართველოს პედიატრის" რედაქცია). და თუ მაინც ვიმსჯელებთ მზიდი კედლების წყობიდან შეიძლება ვივარაუდოთ იმაზე, რომ ფლიგელის სამი სართული აშენებული იქნა გვიან, ვიდრე ძირითადი კორპუსი, მაგრამ 1959 წლის რეკონსტრუქციამდე. ამასთან ეს იყო ცალკე მდგომი შენობა. რეკონსტრუქციის შემდეგ ფლიგელს დაუშენდა ერთი სართული და შეუერთდა ძირითად მოცულობას სამ-მარშიანი რკინა-ბეტონის კიბის უჯრედის მალის საშუალებით.

უნდა ითქვას, რომ პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტიტი ფუნქციონირებდა ამ შენობაში 2012 წლამდე, სანამ არ გადავიდა დიღომში ლუბლიანას ქუჩაზე.

ჩვენი საკვლევი ობიექტი არ შედის ქალაქ თბილისის არქიტექტურული ძეგლების დაცვის ნუსხაში. მისი ისტორიული და მხატვრული ღირებულებების შეფასებისას ზემოთ აღნიშნულზე დაყრდნობით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი

დასკვნები:

- საკვლევი კვარტლის ნაწილის და უშუალოდ საკვლევი ობიექტის ფუნქციონალური დათვირთვა დაკავშირებულია პედიატრიასთან (მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარი, სამშობიარო და პედიატრიის ინსტიტუტი) შეიძლება ითვლებოდეს ისტორიულ ღირებულებად;

- საკვლევმა შენობამ განიცადა გადაკეთების და რეკონსტრუქციის რამდენიმე ეტაპი:

1. 1867 წლის რუკის მიხედვით სწორედ ამ ადგილზე არსებობდა შენობა (არ იყო აღნიშნული ფუნქცია, ამ დროს გვერძე იყო ე.წ. "თავშესაფრის" შენობა);
2. 1902 წლიდან შენობა დღევანდელი ძირითადი მოცულობის მოხაზულობით უკვე აღნიშნულია რუკაზე ფუნქციით "მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარი" და მუშაობს ერთიან კომპლექსში სამშობიაროსთან და ამიერკავკასიის მეანთა ინსტიტუტთან;
3. მოგვიანებით 1924 წელს საკვლევ ტერიტორიაზე შენდება 3-სართულიანი ფლიგელი;
4. რეკონსტრუქციის შემდეგ, რომელიც დამთავრდა 1959 წელს საკვლევი ტერიტორია დაიკავა პედიატრიის ინსტიტუტმა კ.ჩაჩავას სახელობის კლინიკის დამოუკიდებლად, დაშენდა ერთი სართული ძირითად მოცულობაზე და ფლიგელზე, ამასთან ძირითადი მოცულობა და ფლიგელი გაერთიანდა მათ შორის ჩაშენებული საერთო კიბის უჯრედის მალით და დაიხურა საერთო სახურავით. რაც მთავარია ფასადი მელიქიშვილის ქუჩის მხრიდან იცვლის თავის სახესა და არქიტექტურულ სტილს;
5. რეკონსტრუქციის პერიოდში 1959 წელს დასაშვებია, რომ მოხდა ერთმანეთზე მიკრული ორი შენობის გაერთიანება პედიატრიის ინსტიტუტის ძირითადი კორპუსის ერთიან მოცულობად. რამაც განაპირობა საფუძველი მელიქიშვილის ქუჩის მხრიდან ფასადის მარჯვენა და მარცხენა ნაწილის განსხვავებისა;
6. 1970-იან წლებში ეზოს მხრიდან ძრითად მოცულობას მიუშენდა 2- და 3-სართულიანი შუშაბანდის ორი სექცია, ხოლო ფლიგელს მიუშენდა სამეურნეო დანიშნულების 1-სართულიანი შენობა;

- საკვლევი ობიექტის როგორც ძირითადი კორპუსის, ასევე ფლიგელის და მინაშენების ინტერიერები არ წარმოადგენს რაიმე არქიტექტურულ ან ესთეტიკურ ღირებულებას.

გამომდინარე ზემოთ აღიშნულიდან მეპატრონემ და პროექტის ავტორებმა საკვლევი ობიექტის და ტერიტორიის რეკონსტრუქციის პროექტირების და წარმოების დროს სასურველია გაითვალისწინონ შემდეგი

რეკომენდაციები:

- **შენობის ახალი ფუნქციონალური დატვირთვის** არჩევის დროს საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ის ფაქტი, რომ საკვლევი ობიექტი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ატარებდა აქტიურ საზოგადოებრივ დატვირთვას სამედიცინო თვალსაზრისით;

- იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ მრავალჯერადი გადაკეთების შედეგად ძირითადი მოცულობის თავდაპირველმა არქიტექტურულმა სახემ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები და ატარებს დროის არქიტექტურული მოდური ტენდენციის ანაბეჭდს XX საუკუნის დასაწყისისა (აგურის დეკორირებული ეზოს ფასადი) და XX საუკუნის შუახნებისა ("სოციალისტური ამპირის" მოტივები საპარადო ფასადზე), თუმცა მელიქიშვილის ქუჩაზე ორივე მხარეს და ამავე კვარტალში კოსტავას ქუჩის მხარეს არსებული სხვა შენობების ერთიან რიგში შეიძლება ჩაითვალოს ტიპიურ გამოხატულებად, რაც შესაძლებლობას აძლევს პროექტის ავტორებს აირჩიონ **რეკონსტრუქციის წარმოდგენილი სამი კონცეფციიდან** რომელიმე, კერძოდ:

1. აღდგენილი იქნეს თავდაპირველი აგურის დეკორატიული ფასადი ორ სართულზე მელიქიშვილის ქუჩის მხრიდან (ანალოგიურად ეზოს ფასადი) შემდგომი დაშენებით ახალი სართულებისა - შესრულებული თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციებით და სტილით, ასევე თანამედროვე საინჟინრო-კონსტრუქციული და ტექნოლოგიური გადაწყვეტით.

2. დატოვებული იქნეს მელიქიშვილის ქუჩის მხარეს ფასადის ე.წ. " სოციალისტური ამპირის" სტილი, რომლითაც მოვიდა ის ჩვენამდე (რამდენადაც შენობის ღირებულება ქალაქის მაცხოვრებელთათვის და ტურისტებისათვის ქალაქის ისტორიულ ნაწილში განისაზღვრება არა მარტო არქიტექტურულად "სუფთა" სტილით, არამედ დროებითი ისტორიული ტენდენციების გავლენითაც). შემდგომი დაშენებით ახალი სართულებისა - შესრულებული თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციებით და სტილით, ასევე თანამედროვე საინჟინრო-კონსტრუქციული და ტექნოლოგიური გადაწყვეტით.

3. მთლიანი აღება ძირითადი მოცულობისა, შემდგომი ახალი განაშენიანებით თანახმად თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციებისა და სტილისა.

- **ფლიგელი და მინაშენები ეზოს მხრიდან არ წარმოადგენს** არავითარ ესთეტიკურ და ისტორიულ **ღირებულებას.** გამომდინარე აქედან ძირითადი კორპუსის რეკონსტრუქციის სამიდან ნებისმიერი კონცეფციის არჩევის შემთხვევაში **შესაძლებელია მათი მთლიანი დემონტაჟი**;

- პროექტის შედგენის წინ აუცილებლად უნდა ჩატარდეს ტერიტორიის **გეოლოგიური კვლევა;**

- **ახალი მოცულობის** (ან მოცულობების) **კონტური** უნდა იყოს დაპროექტებული ქალაქ თბილისის დაცულ ზონაში მოქმედი რეგულირების განაშენიანების ნორმებისა და წესების დაცვის კოეფიციენტების გათვალისწინებით;

- მელიქიშვილის ქუჩის წითელ ხაზზე ახალი ან დაშენებული მოცულობების სიმაღლემ მნიშვნელოვნად არ უნდა გადააჭარბოს მეზობელი შენობების სიმაღლეს, არქიტექტურულ პერსპექტივაში ხედვების გათვალისწინებით მელიქიშვილის ქუჩის გაყოლებით. ამ ახალი მოცულობის (ან მოცულობების) პროექტირების დროს პროექტის ავტორებმა უნდა გაითვალისწინონ ობიექტის განლაგების ურბანული მნიშვნელობა, მეზობელი-შენობების ჩამოყალიბებული ტენდენციები და ტრადიციები, ამასთან ამ **ახალი მოცულობის შინაარსმა და არქიტექტურულმა კომპოზიციამ უნდა ატაროს ჩვენი დროის ანაბეჭდი, რათა არ მოხდეს გარშემო განაშენიანების ისტორიული და მხატვრული სახის ფალსიფიცირება;**

- **მშენებლობის დროს** სასურველია გამოყენებული იქნეს თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციები, სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები.

არქიტექტორი - *ალა პროზოროვა*
2013. 05

ბიბლიოგრაფია და საარქივო მასალები
(გამოყენებული ისტორიული რუკები და ფოტოები):

- ვახტანგ ბერიძე, "**თბილისის ხუროთმოძღვრება – 1801-1917 წლები**" *"საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1960წ.*
- თენგიზ კვირკველია, **"თბილისის არქიტექტურა"**, *"საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1982წ.*
- თენგიზ კვირკველია, **"ძველთბილისური დასახლებანი""**, *"საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1985წ.*
- **"თბილისი", ენციკლოპედია,** *«ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერ რედაქცია», თბილისი, 2002წ.*
- ნ.ჯაში, **"სოციალისტური თბილისი ხუროთმოძღვრება",** *"განათლება",თბილისი, 1967 წ.*
- "Кавказский календарь" - *1903 - 1914 წწ.*
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი;
- ცენტრალური თბილისის არქივი